# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 2

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

**ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 44-ე მუხლის საფუძველზე:

**მუხლი 1.** არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარედ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მიხეილ გიორგაძე.

**მუხლი 2.** დამტკიცდნენ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის წევრებად:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სალომე სარალიძე
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მაგდა კოსტავა

**მუხლი 3.** დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებით კომისიას:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის რეგისტრაციის საკითხის განხილვა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის შესაბამისი დასკვნის წარდგენა;
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრა და საკრებულოს სხდომისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში წევრის წარდგენის სისწორის შემოწმება და საკრებულოს იმ წევრთა პირადი განცხადებების განხილვა, რომლებიც გაერთიანებული არ არიან საკრებულოს ფრაქციაში, აღნიშნულის თაობაზე, შესაბამისი დასკვნის მომზადება და წარდგენა საკრებულოსათვის.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითმა კომისიამ თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ფორმირებამდე.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს პირველი
სხდომის თავმჯდომარე ———————— მარეხ ნიჟარაძე

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას. № 2
3 - 11 - 2025 წ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო